ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1981804

ნომერი: AR1321461

თარიღი : 25.06.2015

გაცემის თარიღი : 29.06.2015

გაცნობის თარიღი : 29.06.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ბროსე , N 2 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ბესარიონ კალანდაძე პ/ნ 01019007977
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. II კვ. კორ. 35 ბ. 2

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული განაცხადი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, ბროსეს ქ. N2–ში ლითონის ჭიშკრის მოწყობის საკითხს.

გაცნობებთ, რომ საჯარო რეესტრის ამონაწერის (განაცხადის რეგისტრაციის: #882011581230, მომზადების თარიღი: 30/11/2011, ს/კ: #01.15.04.005.037) შესაბამისად, მიწის ნაკვეთი 246 კვ.მ ფართით დატვირთულია სერვიტუტით. საჭიროა დამატებით წარმოდგენილი იქნეს:

1. გენგეგმა საკადასტრო საზღვრების (წითელი ხაზები), სერვიტუტისა და საპროექტო ჭიშკრის დატანით;
2. ინფორმაცია იმის ტაობაზე, თუ ვის სასარგებლოდაა მიწის ნაკვეთი დატვირთული სერვიტუტით და შესაბამისი თანხმობები (დამოწმებული ნოტარიული წესით);
3. შესაბამისი წესით დამოწმებული ამხანაგობის კრების ოქმი (თანამესაკუთრეთა 100%–ის თანხმობით) წიშკრის მოწყობასთან დაკავშირებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური საკითხის განხილვას დაუბრუნდება მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.